

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

28.12.2016 წელი

ეგზ. N1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ბათუმის წყალი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 87/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შემოკლებანი.....	3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3. შესავალი.....	4
4. ძირითადი ტექსტი.....	5
4.1. შემოსავლები.....	5
4.2. შრომის ანაზღაურება	7
4.3. საწვავის ხარჯი	8
4.4. სახემწიფო შესყიდვები	9
5. შემაჯამებელი დასკვნა.....	13
6. რეკომენდაცია.....	13

1. შემოკლებანი

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“ - კომპანია
- სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“- ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

- სათავე ნაგებობებიდან მოწოდებული წყლის დანაკარგმა 2015 წელს 79,4 პროცენტი შეადგინა, ამასთან ადგილი აქვს მოხმარებული წყლის საფასურის აღურცხველობის ფაქტს; გვ. 5
- კომპანიაში სახელფასო დანამატის დარიცხვასთან დაკავშირებით, სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება ამ სამუშაოთა სახეები და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა; გვ. 6
- კომპანიის მიერ საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს გახარჯული საწვავის ხარჯად აღიარების დადასტურებას; გვ. 7
- კომპანიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე ეფექტურ ზედამხედველობას, რაც მიმწოდებლების მხიდან ვალდებულების არასრულად შესრულებაში, პირგასამტეხლოს გაუვრცელებლობასა და ხელშეკრულებებში განხორციელებულ არაარგუმენტირებულ ცვლილებებში გამოიხატება. გვ. 8

3. შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალის“ მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2015 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

3.3. აუდიტის მამუტაბი

აუდიტის მამუტაბად განისაზღვრა: შემოსავლები, ძირითადი აქტივები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, შრომის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვები.

3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი დამფუძნებელი პარტნიორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, საწესდებო კაპიტალის 100%-ის წილით, ხოლო პარტნიორების უფლებამოსილებებს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. კომპანიის საქმიანობის საგანია: ქალაქ ბათუმის და მის მიდებარე ტერიტორიაზე არსებული აბონენტების უზრუნველყოფა 24 საათიანი წყალმომარაგების და წყალინარების სისტემის მომსახურებით. ასევე მომსახურების საფასურის გაანგარიშება-გადახდევინების უზრუნველყოფა; წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სისტემის ექსპლუატაცია, მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და განვითარება; წყალმომღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; მრიცხველთა დაყენების ხელშეწყობა და სხვა.

ფინანსური ანგარიშის შესაბამისად, კომპანიის 2015 წლის შემოსავლები 12643934 ლარს, ხოლო ხარჯები 12291807 ლარს შეადგენს და შესაბამისად 2015 წელის კომპანიას 503354 ლარის ფინანსური მოგებით აქვს დამთავრებული.

4. ძირითადი ტექსტი

4.1. შემოსავლები

კრიტერიუმი: კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მომხმარებელზე მიწოდებული წყლის საფასური, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები და სხვადასხვა კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები. ამასთან, სათავე ნაგებობებიდან მიწოდებული წყალი აღირიცხება მომხმარებელთან

დაყენებულ მრიცხველებში და მოხმარებული წყლის რაოდენობისა და დამტკიცებული ტარიფებით დგინდება ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა.

გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომპანიის მიერ 2015 წელს მიღებულია სულ 12761509 ლარის შემოსავალი. მათ შორის:

შემოსავლები	თანხა
შემოსავალი მოსახლეობიდან	2765881
შემოსავალი კომერციული ორგანიზაციებიდან	4706437
შემოსავალი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან	982436
სუბსიდიის სახით მიღებული შემოსავალი	1680000
არასაოპერაციო შემოსავალი	2606364
სხვა შემოსავალი	20391
ჯამი	12761509

ცხრილი N1. კომპანიის 2015 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

2015 წელს მომხმარებელზე სათავე ნაგებობებიდან მიწოდებული 40991,4 ტონა წყალიდან, ერთობლივ შემოსავალში გათვალისწინებულია, ანუ გახარჯულად აღიარებულია 8459,9 ტონა წყალი, ანუ მთლიანი მიწოდების 20,6 პროცენტი. შესაბამისად, დანაკარგის სახით 79,4 პროცენტი ფიქსირდება. ამასთან 2015 წელს ქ. ბათუმის ბულვარზე მიწოდებული წყლის რაოდენობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად 197,2 ტონას შეადგენს, რომლის ღირებულება 788,8 ათასი ლარი არ არის გადახდილი და არც დავალიანების სახით ირიცხება.

დასკვნა: სათავე ნაგებობებიდან მიწოდებული წყლის 79,4 პროცენტის დანაკარგი, რეალიზებული წყლის მოცულობის სრულად აღრიცხვის თვალსაზრისით შესაძლო რისკზე მიუთითებს. ამასთან, ადგილი აქვს მოხმარებული წყლის საფასურის აღურიცხველობის ფაქტს.

რეკომენდაცია: კომპანიამ, ყველა დაშვებული რესურსის გემოყენებით, უზრუნველყოს წყლის დანაკარგის მინიმუმამდე შემცირება და მოხმარებული წყლის რესურსის სრული აღრიცხვა.

4.2. შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებული ვალდებულია ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულოს ანაზღაურების გარეშე, თუ ის დაკავშირებულია სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს¹ აგრეთვე დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო: ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე; ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

გარემოება: კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია 5430040 ლარი. მათ შორის ხელფასის სახით დარიცხულია - 3572070 ლარი, პრემიის სახით - 949217 ლარი, ხოლო დანამატის სახით - 908752 ლარი, ანუ ხელფასის სახით დარიცხული თანხის 25,4 %. კომპანიის ძირითადი სამტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით მომუშავე მუშებისათვის, ზენორმატიული სამუშაოს ანაზღაურების მოცულობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 22 დეკემბრის N24443-25 წერილის შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობიდან 1,5 -მდე შემცირდა. აუდიტის პერიოდში, კომპანიაში სახელფასო დანამატი დარიცხულია სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ტაბელების შესაბამისად, სადაც აღნიშნულია თანამშრომლების მიერ შესაბამის პერიოდში შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო, თუმცა რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება ამ სამუშაოთა სახეები და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა.

დასკვნა: დანამატების გაცემისას შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოების სახის, პერიოდისა და აუცილებლობის დასაბუთება, დანამატის სახით გაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

რეკომენდაცია:

სახელფასო დანამატების გაცემის საფუძველს, ზენორმატიული სამუშაოების სახეებისა და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დადასტურებული

¹ საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლი

უნდა იქნეს სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ შესრულებულ სამუშაოთა სახეები და მოცულობები.

4.3. საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე, გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისათვის დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს, რომ წესების დაცვით შეძენილი და გახარჯული საწვავი უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას. გადასახადის გადამხდელმა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ, საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად უნდა აწარმოოს განვლილი მანძილის რეესტრი. ამასთან, ოდომეტრის ჩვენება დაფიქსირებული უნდა იქნეს არანაკლებ თვეში ერთხელ. საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯვისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით².

გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2015 წელს კომპანიას გახარჯული აქვს 163566 ლარის ღირებულების საწვავი. საწვავის ღირებულების ხარჯად აღიარების მიზნით, კომპანიას შემუშავებული აქვს თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისად გაცემული და გახარჯული საწვავის აღრიცხვის ყოველთვიური რეესტრი, სადაც მითითებულია ასევე ოდომეტრის მონაცემები და განვლილი კილომეტრები. რეესტრში მონაცემები შეიტანება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ და დასტურდება ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოსარგებლის მიერ. აღნიშნული რეესტრის 2015 წლის ივნისის თვის მონაცემები შედარდა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციის მიზნით, ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაკეთებულ დასკვნაში მითითებულ მონაცემებს.

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა	სახელმწიფო ნომერი	ოდომეტრის მონაცემები	
			რეესტრის 30.06.2015 წ- მდგომარეობით	შესაბამისად სამხარაულოს დასკვნით 23.06.2015
1	Renault kangoo	BA333TS	175852	176267
2	Renault kangoo	BA006TS	124248	124657
3	Renault kangoo	BA004TS	107428	107493

ცხრილი N2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის მონაცემების შესახებ

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე(ავტოსატრანსპორტი, სპეც ტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის ჩვენებების შესახებ რეესტრში გაკეთებული ჩანაწერები, შეუსაბამოა ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნაში მოყვანილ მონაცემებთან.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კომპანიის მიერ საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარჯად აღიარებული საწვავის რეალობას.

რეკომენდაცია: კომპანიამ შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს საწვავის გაცემისა და ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ განვლილი მანძილის ზუსტ აღრიცხვასა და შესაბამისად ხარჯად აღიარებული საწვავის ღირებულების რეალობას.

4.4. სახელმწიფო შესყიდვები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარვის უზრუნველყოფა. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი, დადოს მასთან ხელშეკრულება და დააწესოს კონტროლი მის შესრულებაზე. დადებული ხელშეკრულების პირობების არაარგუმენტირებული შეცვლა დაუშვებელია.

გარემოება 1. 2015 წლის 2 აპრილს შპს ბათუმის წყალსა³ და შპს „მტმ“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელოსნოების, ავტოფარეხისა და საწყობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 999999 ლარით განისაზღვრა.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გამოვლენილი შეუსაბამოების აღმოფხვრის მიზნით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც არ იქნა შეთანხმებული პროექტის ავტორთან³. აღნიშნული ცვლილებებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა 120 კალენდარული დღიდან 175 კალენდარულ დღემდე გაიზარდა. ამასთან, ხელშეკრულებაში განხორციელებული მე-4 ცვლილება, რომლითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა 150-დან 175 კალენდარულ დღემდე გაიზარდა, შედგენილია 27 აგვისტოს, ანუ ვადის

³ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 64-ე მუხლის მოთხოვნები.

გასვლამდე 3 კალენდარული დღით ადრე, ხოლო სისტემაში ატვირთულია 24 სექტემბერს, ანუ შედგენიდან 28 კალენდარული დღის შემდეგ⁴.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შესახებ შპს „ბათუმის წყალში“ წარდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, შესრულებულია 994146 ლარის ღირებულების სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) ანალიზით დადგენილია, რომ არასრულად არის შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული 5853 ლარის ღირებულების სამუშაოები. საწარმოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეუსრულებელი სამუშაოები არაარსებითად შეფასდა და მხარეებს შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებით, სახელშეკრულებო ღირებულება, შეუსრულებელი სამუშაოების ხარჯზე 5853 ლარით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელ სამუშაოთა არაარსებითობასთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში სათანადო განმარტებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

გარემოება 2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ასევე არ იქნა გამოყენებული ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში.

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მომწოდებელი	ხელშეკრულების ღირებულება	მოწოდების ვადა	ფაქტიური მოწოდება	პირგასამტეხლოს თანხა
1	N38. 5.03.2015	შპს „comfort“	13392	20.03.2015	30.03.2015	134
2	N37. 5.03.2015	ი/მ „ვასილ შუკაკიძე“	49217	4.04.2015	9.04.2015	246
3	N201. 23.09.2015	შპს „ახალი მთვარე“	10018	8.10.2015	20.10.2015	120
4	N258. 22.12.2015	შპს „სედერ ქიმია ჯორჯია“	33746	31.12.2015	16.01.2016	2531
5	N110. 20.05.2015	შპს „სენტიწელი ჯი ემ ჯი“	41524	30.05.2015	6.06.2015	291

ცხრილი N3. პირგასამტეხლოს შესახებ

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებათა დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულებისა და შესაბამისად პირგასამტეხლოს დარიცხვის მდგომარეობა.

⁴ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები.

გარემოება 3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებში საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით გაკეთებული დაკვეთის შესაბამისად. კერძოდ:

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ღირებულება	ხელშეკრულების საგანი	მიწოდების პირობა
1	N226. 30.10.2016	შპს „თ.ე.მ“	9223	ქვიშა-ლორღის მიწოდება	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
2	N220. 21.10.2015	შპს „ინტერნაციონალი“	73277	არმატურის მიწოდება	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
3	N148. 26.06.2015	შპს „კუსა“	67136	ბეტონის მიწოდება	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
4	N164. 22.07.2015	შპს „გთ სერვისი“	13876	ავტო ამწის დაქირავება	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში

ცხრილი N4. ინფორმაცია კომპანიის მიერ გაფორმებული რიგი ხელშეკრულებების შესახებ

ცხრილში მოყვანილ ხელშეკრულებებთან მიმართებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაკეთებული დაკვეთების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს სახით თანხების დაკისრებას განაპირობებს და რომელიც საზოგადოების შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება.

გარემოება 4. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, არსებითად შეცვლილია ხელშეკრულების პირობები, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ცვლილებების აუცილებლობის არგუმენტირებული დასაბუთება.⁵

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	SPA-ს ნომერი	მიმწოდებელი	ხელშეკრულების საგანი	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1	N80. 20.04.2015	150002704	ი/მ „ნოდარ სიხარულიძე“	ტრიპლექსის მილები	79394	შეიცვალა მოსაწოდებელი საქონლის სახეობები და ერთეულის ღირებულება
2	N107. 20.05.2015	150012449	შპს „გაბ სოლუმენს“	ელექტრონული მართვის ინვენტორები	35399	ელექტრონული მართვის სიხშირული ინვენტორის მიწოდება, მონტაჟი, გაშვება და გამართვა, შეიცვალა მხოლოდ მიწოდებით.
3	N21. 11.02.2015	140030826	შპს „ბაჩი“	გარე ფასადის კარნიზები	19221	შეიცვალა მოსაწოდებელი კარნიზების პარამეტრებიცა და ღირებულებაც

ცხრილი N5. ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი

გარემოება 5. აუდიტის პერიოდში, კომპანიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები ექსკავატორების, ბულდოზერებისა და თვითმცლელების დაქირავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულებებით მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებდა კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად, დაქირავებული ტექნიკის მიერ დახარჯული საათებისა და ტენდერში დაფიქსირებული ტარიფების გათვალისწინებით.

გაწეული მომსახურების თაობაზე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში, დაფიქსირებულია შესაბამის თვეში გაწეული მომსახურების პერიოდი (დაწყება-დამთავრება), მოცულობა (გახარჯული საათები), თუმცა კონკრეტულად რა სამუშაოების შესრულებისათვის იქნა გამოყენებული დაქირავებული ტექნიკა წარმოდგენილი დოკუმენტაციით რიგ შემთხვევებში არ დასტურდება.

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	SPA-ს ნომერი	მომწოდებელი	ხელშეკრულების საგანი	ხელშეკრულებით დარიცხული ბის ღირებულება
1	N150. 1.07.2015	150016979	შპს „ტექნიკოსი“	ექსკავატორის, ბულდოზერისა და ავტოთვითმცლელის დაქირავება	139989
2	N102. 14.05.2015	150012021	შპს „გთ სერვისი“	ამწე - კალათის დაქირავება	9912
3	N164. 22.07.2015	150018469	შპს „გთ სერვისი“	ავტო-ამწის დაქირავება	13876
4	N163. 22.07.2015	150018171	შპს „გთ სერვისი“	მინი ექსკავატორის დაქირავება	8812

ცხრილი N6. კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ

დასკვნა: კომპანიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე ეფექტურ ზედამხედველობას, რაც მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულების არასრულად შესრულებაში, პირგასამტეხლოს გაუვრცელებლობასა და ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კომპანიისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებაში გამოიხატება.

რეკომენდაცია

კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში დანერგოს ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს, რაც სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, აღმოფხვრის გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შესაძლო რისკებს.

5. შემაჯამებელი დასკვნა

შპს „ბათუმის წყალის“ შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

შემოსავლები

სათავე ნაგებობებიდან მოწოდებული წყლის 79,4 პროცენტის დანაკარგი, რეალიზებული წყლის მოცულობის სრულად აღრიცხვის თვალსაზრისით შესაძლო რისკზე მიუთითებს. ამასთან, ადგილი აქვს მოხმარებული წყლის საფასურის აღრიცხვების ფაქტებს.

შრომის ანაზღაურება

დანამატების გაცემისას შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოების სახის, პერიოდისა და აუცილებლობის დასაბუთება, დანამატის სახით გაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

საწვავის ხარჯი

კომპანიის მიერ, საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარჯად აღიარებული საწვავის რეალობას.

სახელმწიფო შესყიდვები

კომპანიის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მომწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე ეფექტურ ზედამხედველობას, რაც მიმწოდებლების მხიდან ვალდებულების არასრულად შესრულებაში, პირგასამტეხლოს გაუვცელებლობასა და ხელშეკრულებებში განხორციელებულ არაარგუმენტირებულ ცვლილებებში გამოიხატება.

6. რეკომენდაცია

შპს „ბათუმის წყალს“:

- კომპანიამ, ყველა დაშვებული რესურსის გემოყენებით, უზრუნველყოს წყლის დანაკარგის მინიმუმამდე შემცირება და მოხმარებული წყლის რესურსის სრული აღრიცხვა;
- სახელფასო დანამატების გაცემის საფუძველს, ზენორმატიული სამუშაოების სახეებისა და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დადასტურებული უნდა იქნეს სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ შესრულებულ სამუშაოთა სახეები და მოცულობები;

➤ შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს საწვავის გაცემისა და ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ განვლილი მანძილის ზუსტ აღრიცხვასა და შესაბამისად ხარჯად აღიარებული საწვავის ღირებულების რეალობას;

➤ კომპანიამ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში დანერგოს ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს, რაც კომპანიის სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, აღმოფხვრის გაწეული მომსახურების, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შესაძლო რისკებს.

წამყვანი აუდიტორი



გოჩა შარაბიძე

წამყვანი აუდიტორი



ნადიმ ბოლქვაძე

უფროსი აუდიტორი



ჰენრი სანიკიძე

აუდიტორ-ასისტენტი



რამაზ დიასამიძე

28.12.2016